ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/161

(კონსოლიდირებული ტენდერი CON170000016)

ქ. თბილისი

30 ივნისი, 2017 წელი

ერთი მხრივ, **შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“** (იურიდიული მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2), წარმოდგენილი - გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის - ექსპლუატაციის დირექტორის - გიორგი ხუციშვილის სახით, რომელიც მოქმედებს გენერალური დირექტორის 2016 წლის 27 სექტემბრის №205 ბრძანების საფუძველზე (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ , **შპს „თეგეტა მოტორსი“** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავების 2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 ოქტომბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2016-2017 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის №1453 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა“ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა,თვე.

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საქონლის შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „სატენდერო კომისია“ - „2016-2017 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის №1453 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისია.

1.8 „ფორს-მაჟორი“ - მხარეებისათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა ისეთი მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის ზაფხულის სეზონის (სედანი) საბურავები (თანხმლები მომსახურებით)** (CRV 34350000), რომლებიც აკმაყოფილებენ 2016 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის (**CON170000016**) სატენდერო დოკუმენტაციებითა და მათი დანართებით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.

2.2 შესასყიდი საქონლის რაოდენობა არის - **4 (ოთხი) ცალი ჩინური წარმოების, Haida-ს ბრენდის, HD 927 მოდელის საბურავი, ზომით 225/45 R18 (კარკასის კონსტრუქცია R).**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 საბურავის ერთეულის ღირებულება შეადგენს 143 (ასორმოცდასამი) ლარს.

3.2 საბურავების ფასი მოიცავს მათი მონტაჟის და ბალანსირების ღირებულებას.

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 572 (ხუთას სამოცდათორმეტი) ლარს.

4. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1 მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას განახორციელებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2 საქონლის მიწოდების ადგილია - ქ. თბილისი, მექანიზაციის ჩიხი №1.

4.3 საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ: მატერიალურ ფასეულობათა მართვის სამსახურის თანამშრომელი, სატრანსპორტო-სამეურნეო სამსახურის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი (შემდგომში „ინსპექტირების ჯგუფი“).

5.3 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

5.3.1 გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დაცვას;

5.3.2 დაადგინოს მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

5.3.3 გააფორმოს მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტი და უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.

6. საქონლის საგარანტიო პირობები და ვადები

6.1 მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ახალი, ქარხნული წარმოების და საგარანტიო (საექსპლუატაციო) ვადის ამოწურვამდე არ უნდა განიცადოს

„შემსყიდველი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

გიორგი ხუციშვილი
გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე - ექსპლუატაციის დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „თეგეტა მოტორსი“

თემურ კოხოძე
გენერალური დირექტორი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/161
(კონსოლიდირებული ტენდერი CON170000016)

ქ. თბილისი 30 ივნისი, 2017 წელი

დეფორმაცია და ექვემდებარებოდეს ბალანსირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში საბურავი უნდა შეიცვალოს იდენტური პარამეტრების მქონე ახალი საბურავით.

6.2 საბურავების საექსპლუატაციო ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50'000 კილომეტრის გარბენის რესურსს. სწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში არანაკლებ 50'000 კილომეტრ გარბენზე, საბურავმა არ უნდა მიიღოს დეფორმაცია, ნორმების დაცვით ექსპლუატაციისას საბურავის სამუხრუჭე მანძილი არ უნდა იწვევდეს საფრთხის შექმნას მგზავრებისათვის და საბურავმა არ უნდა გამოავლინოს ისეთი დეფექტები, რომლებიც ხელს შეუშლის ტრანსპორტის ნორმალურ ექსპლუატაციას ან საფრთხეს შეუქმნის მგზავრების უსაფრთხოებას.

6.3 გარანტია არ ვრცელდება ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზებით დაზიანებულ საბურავებზე:

ა) მექანიკური დაზიანება;

ბ) გარეგანი ზემოქმედებით (გადახურება/"დაბუქსავება");

გ) ტვირთამწეობის გადაჭარბება;

დ) ბორდიურზე მიჯახება;

ე) ჩარტყმა.

6.4 მიმწოდებელმა დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის, წუნის ან სხვა დეფექტის მქონე საბურავის შეცვლა ახალი იდენტური პარამეტრების მქონე საბურავით საკუთარი სახსრებით.

6.5 მიმწოდებლის მიერ საგარანტიო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

6.6 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს უარი განაცხადოს წუნდებული საქონლის მიღებაზე.

7. საქონლის მიღება - ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

7.1 „მიმწოდებელმა" უნდა უზრუნველყოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებით ნაკისრ მომსახურების პუნქტებზე შესაბამისი მომსახურების გაწევა.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტი.

7.3 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

7.4 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავების მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

8.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

გ) პასუხი აგოს საბურავების ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

8.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

8.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება;

ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.

8.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონლის მიწოდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

ბ) განახორციელოს საბურავის ინსპექტირება, რაც შეიძლება გულისხმობდეს საბურავის ვიზუალურ შემოწმებას ან შესაბამის ექსპერტიზას;

გ) სატენდერო კომისიას მიმართოს შესაბამისი დასაბუთებით საბურავების ხარისხის გაუარესების თაობაზე. კომისიას უფლება აქვს, მიმწოდებელს მოსთხოვოს ექსპერტიზის ჩატარება მის მიერ მითითებულ საექსპერტო დაწესებულებაში და შედეგების სატენდერო კომისიისათვის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი ორგანიზაცია;

დ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით;

ე) საქონლის მიწოდების ვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

„შემსყიდველი"
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

გიორგი ხუციშვილი
გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე - ექსპლუატაციის დირექტორი

„მიმწოდებელი"
შპს „თეგეტა მოტორსი"

თემურ კოხოძე
გენერალური დირექტორი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/ 161
(კონსოლიდირებული ტენდერი CON170000016)

ქ. თბილისი

30 ივნისი, 2017 წელი

9. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.
9.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირსაგამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.5%.
9.3 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ გადაიხადოს საჯარიმო თანხა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბურავების ღირებულების 20%- ის ოდენობით.
9.4 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.
11.3 მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით.

12. სხვა პირობები

12.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.
12.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, გარდა ამ ხელშეკრულების მე-6 პუნქტისა.
13.2 ხელშეკრულების მე-6 პუნქტი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს საგარანტიო ვადის სრული პერიოდის განმავლობაში.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ საიდენტიფიკაციო კოდი: 202886788 მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2 ტელ: (995 32) 2 93 50 50. სს თიბისი ბანკი ა/ა GE67TB7931836070100001; ბანკის კოდი: TBCBGE2	**შპს „თეგეტა მოტორსი“** საიდენტიფიკაციო კოდი: 202 177 205 მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N5 ტელ: 224 44 44; 599 09 09 10. სს თიბისი ბანკი ა/ა GE80TB 0600 0000 2446 7853; ბანკის კოდი TBCBGE22

„შემსყიდველი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

გიორგი ხუციშვილი
გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე - ექსპლუატაციის დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „თეგეტა მოტორსი“

თემურ კოხოძე
გენერალური დირექტორი